

ფიზიკური პირის მიერ სასესხო ვალდებულებისა და შრომითი
ანაზღაურების დაზღვევა

დარეჯან ლიპარტელიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე იურისტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს)სამართალი

ხელმძღვანელი: უჩა ძიმისტარიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია სასესხო ვალდებულებისა და შრომითი ანაზღაურების დაზღვევა. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო განვითარების გზაზე დგას, ნებისმიერი სიახლე დიდ დაკვირვებასა და ჩართულობას მოითხოვს. სასესხო ვალდებულების ერთ-ერთი სახე , კერძოდ საკრედიტო შენატანის დაზღვევა სწორედ ამგვარ სიახლეს წარმოადგენს.

ნაშრომში წამოჭრილია ყველა ის სამართლებრივი პრობლემა, რომელიც ზემოთ აღნიშნული პროდუქტის დანერგვას ახლავს თან . განხილულია მსოფლიო პრაქტიკა და განვითარების გზები, რომელიც საქართველომდე , არაერთმა ქვეყანამ განვლო. ის მნიშვნელოვანი საფრთხეები და მოსალოდნელი არაკეთილსინდისიერი ქმედებები, რომლებიც ამ პროდუქტის გაყიდვას ახლავს თან ფუნდამენტურად არის ნაშრომში წარმოდგენილი. ასევე განხილულია ყველა პრობლემის გადაჭრის გზა და ის სამართლებრივი ბერკეტები, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიქმნა.

შრომითი ანაზღაურების დაზღვევა, მნიშვნელოვანი სადაზღვევო პროდუქტია, რომელსაც ასევე დეტალურად შეეხება ნაშრომი. ნაშრომი შეეხება მსოფლიოში ამ სადაზღვევო პროდუქტის ძირითად სამართლებრივ საკითხებს, განვითარების გზებსა და საქართველოში მისი სახეცვლილების სამომავლო პერსპექტივებს. ასევე ნაშრომში წარმოდგენილია მსჯელობა, რამდენად არის თანხვედრაში საქართველოს შრომის კოდექსი და შრომითი ანაზღაურების დაზღვევის პირობები.

Abstract

The master thesis hereafter examines the insurance issues regarding loan obligations and labor wages. Considering that Georgia is a developing country, any novation needs to be implemented under profound observation and involvement. Insurance of credit contribution as a certain tyoe of loan obligation has to be deemed as a similar innovation.

Following thesis rises legal deficiencies related to the implementation process of the abovementioned product. Study covers world practice and development directions examined by numerous states before Georgia. Significat hazards and expectable misconduct that follows the sale of abovementioned product are basically discussed in this work. Problem solvation ways and gradually created legal levers are regarded.

Significatt insurance product – Labour Wage Insurance is considered in the thesis as well. Work examines main legal matters regarding to this insurance product, ways to development and long-term perspectives of its modification in Georgia. Work contains discussion whether provisions of Labor Code of Georgia meets the conditions of Labor Wage Insurance.